საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/41

ქ. ბათუმი 06 აპრილი, 2020 წ

,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-02/217 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის №06-01/109 დადგენილების (ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 დეკემბრის №06-01/138 დადგენილების და 2020 წლის 2 მარტის დადგენილების), ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 12 მარტის MES 520 002995819 მოხსენებითი ბარათის, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების, **,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის N01-02/39 ბრძანების და** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 6 აპრილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის **2020 წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის** ვადების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-02/217 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს** შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა მიერ განხორციელდეს:

1.1. **ბსუ-ში II, V და VI ნაკადებზე ჩარიცხული პირების** მიერ:

ა) **აკადემიური რეგისტრაცია** (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) - 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე - 2020 წლის 6 აპრილი (ამ ნაკადების სტუდენტთათვის 2020 სასწავლო წლის I სემესტრი);

ბ) **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** (სწავლის წლიური საფასური - 3300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა) - **არაუგვიანეს 2020 წლის 21 აპრილისა;**

1.2. ბსუ-ში **I, III, IV და VII ნაკადებზე ჩარიცხული პირების** მიერ **მხოლოდ აკადემიური რეგისტრაცია** (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) - 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე - 2020 წლის 6 აპრილი (ამ ნაკადების სტუდენტთათვის 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრი).

2. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ბრძანების ინგლისურენოვანი თარგმანის სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადება (ფაკულტეტის დეკანის ოფისთან თვალსაჩინო ადგილზე - საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნება) და თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალურად გაცნობის მიზნით შეტყობინების დაგზავნა.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**